№ 140. 3 Ივლისი, ხუთშაბათი 1866—1880 3 Ივლისი, ხუთშაბათი № 140.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია
ჩუღურეთში, [illegible] თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ [illegible] სახლში; № 2.

ხელის-მოწერა
მიიღება „დროებისა"-„ივერიის" რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба"-„Иверіи"

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ"-„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ" ᲤᲐᲡᲘ

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება"-„ივერია" ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ. „ივერიისა" 2 მან.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით - რიგითი ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოებით ასო-ზე მეოთხედი კაპ.

თუ ხელნაწერს მოაწერს, რედაქცია გაასწორებს და შემოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუ-ბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულ, რუსულ და სხვა ენებ-ზედ.

1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ
**ᲓᲠᲝᲔᲑᲐ**
ღირს ხუთი მანეთი
**ᲘᲕᲔᲠᲘᲐ**
ოთხი მანეთი
„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ" ᲓᲐ „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ" ᲔᲠᲗᲐᲓ
ᲨᲕᲘᲓᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ

## ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(საერთაშორისო სააგენტოსი)

ᲞᲐᲠᲘᲟᲘ, 1 ივლისს. ჭკვიანი რომ შოფორი გუშინ სადგომის მოვიდა ლიონის რკინის გზის ვოგზალზედ (სადგურზედ) მას დიდ-მალი ხალხი დახვდა. ბულვარებზედ მარსელიეზას მღეროდნენ. დეპუტატთა პალატამ (ამნისტიის) კანონ პროექტი დაამტკიცა.

## ᲛᲦᲕᲓᲚᲔᲑᲘ ᲩᲐᲠᲩᲔᲑᲐᲓ!

ტფილისი, 2 ივლისს.

Თელავის მაზრის უფროსს უთხოვნია ტფილისის გუბერნატორისთვის, იშუამდგომლოს ეგზარხოსთან, რომ ყოველსავე საეკკლესიო წესისათვის, ნათლობისა, ჯვარის-წერისა, დამარხვისა და სხვათათვის გადაჭრილი ფასი იყოს დანიშნული.

Ეს სურვილი მაზრის უფროსისა სწორეთ ხალხის ცხოვრების უწესობისა და უმზგავსობისაგან არის გამოწვეული.

Მღვდლებმა ილაჯი გაუწყვიტეს ხალხსა; შვილის მონათვლა უნდა ვისმე, თუ კაი ლუკმა არ ჩაუდო პირში მღვდელს, ვერ მონათლავს; ჯვარის-წერა უნდა, თუმნიანი მაინც უნდა „გალესოს"; მოკვდება ვინმე და პატრონებმა ხშირად უკანასკნელი ავეჯი უნდა გაჰყიდონ, თუ არ უნდათ რომ მკვდარი ზეზედ აყროლონ.

Ხალხისაგან პირში ჩაფურთხებისა რომ არ ეშინოდეთ ბევრი მკვდარი უმღვდლოთ ჩაჰბარდებოდა მიწას.

Დიდს ცოდვათ რომ არ მიაჩნდეთ მოუნათლავობა, პატარა ხანს უკან მონათლულს გლეხ-კაცს ძვირათა ნახავდით; სულ „გავთათრდებოდით".

Ჯვარის-დაუწერლათ თუმცა ეზიზღებათ ჩვენში კაცისა და ქალისა ერთათ ცხოვრება, მაგრამ მღვდლების სიხარბემ ეს ზიზღი დაავიწყებინა ხალხსა; ბევრს ჯვარ-დაუწერელს ცოლ-ქმარს შეხვდება კაცი გლეხკაცობაში ამ ბოლოს დროს.

Ვიძახით, სამღვდელოებას არა აქვს ხალხზედ კარგი გავლენა, ის ვერ ასრულებს იმ მაღალს დანიშნულებას, რომელსაც ქრისტეს მცნება ვალადა სდებს.

Ერთი ეს მითხარით, რა გავლენა უნდა ჰქონდეს და რა დანიშნულების აღსრულება შეუძლიან იმ მღვდელს, რომელიც ჭირის-უფალს, უიმისოთაც მწუხარებისაგან დამწვარ-დადაგულს, ეუბნება, თუ ამა-და-ამდენს არ მომცემ, მკვდარს არ დაგიმარხავო. ჭირისუფალს რომ შეძლება ჰქონდეს, ამ დღისთვის არას დაზოგავს და მისცემს მღვდელს მისგან მოთხოვნილს „ფასს", მაგრამ მღვდელს ფეხებზედ ჰკიდია აქვს იმას ეს ფასი თუ არა; თავის გრძნობა-გამოფუტუროებულს გულში ჰფიქრობს, თავში ქვა იხალოს და იშოვნოსო! მკვდარს რომ სახლში ავუყროლებ, მაშინაც ჯანს არ გაიგდებინებს და არ იშოვისო.

Რასაკვირველია, ამ გვარს მღვდელს ხალხზედ გავლენაც ექნება და თავის „დანიშნულებასაც" აასრულებს. Გავლენა იქნება გამრყვნელი და სრულად წამპილწველი ხალხის ზნეობისა და „დანიშნულების" ასრულება-შიც — კარგს სმა-ჭამაში, ქეიფში გაძღომაში და სხვ. მღვდელი უკან არავის ჩამოურჩება.

Ამ გვარმა სამაგალითო ქცევამ მოსპო ერში სრულიად მღვდლების პატივისცემა; „მღვდელი" საანდაზოდ გაჰხადეს და შედარების დროს გვერდით ხან მგელს მოუსმენ, ხან მელას, ხან იმისთანა პირუტყვს, რომლის აქ დასახელების ნებას ზრდილობა არ გვაძლევს.

Ვიდრე მღვდელს თავის ჯამაგირი გადაწყვეტილი არ ექნება, მუდამ ეს ოლომტრიალი იქნება მღვდელსა და ერს შუა ამისთანა მძიმე შემთხვევებში, როგორიც არის მაგ. ჯვარისწერა და სიკვდილი. Მთავრობამ ან სრულიად უნდა გაანთავისუფლოს ფულის მხრივ ერი მღვდლისაგან და მღვდელი ერისაგან; თითონ უნდა ჰკრიფოს ფული და აძლიოს მღვდლებს; ან თუ არ დაუშლიათ, დაინიშნოს ყოველს წესზედ გადაჭრილი ფასი, რომ მღვდლებს ამ ფასის მომატება არ შეეძლოთ.

Სწორეთ დიდი სიკეთე იქნება ჩვენის ხალხისათვის თუ ეგზარხოსმა ბ. Თელავის მაზრის უფროსის აზრს ყურადღება მიაქცია.

Მხოლოდ მაშინ შეუძლიან სამღვდელოებას სიტყვითაც და საქმითაც წაბაძვის ღირსი მაგალითი უჩვენოს ხალხს, თორემ რაც უნდა მჭევრმეტყველობით სავსე სიტყვები წარმოსთქვას მღვდელმა საეკკლესიო კათედრიდამ, მაინც მთელის წლის ნალაპარაკევს ერთი ცუდი მაგალითი და ფულების უსამართლოთ გამოჩინჩლვა ჩააშავებს.

Იესო-ქრისტემ რომ ტაძრის ეზოდამ ვაჭრები გარეკა, უფლის სახლს ნუ შეურაცხ-ჰყოფთო, რა იცოდა მაშინ იმან, რომ იმისივე წარმომადგენელნი ათას რვაასის წლის შემდეგ თვითონ დაიწყობდენ ვაჭრობას შიგ ტაძარშივე, ვაჭრობას საეკკლესიო წესებისას და ღმერთსა და ხალხს შუა ჩარჩებათ დასდგებოდენ.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

Ბორჯომი პაროში, რომელიც ეხლა ხიდის მაგიერობას სჩადის, ვერაფრად ასრულებს თურმე თავის დანიშნუ-

## ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

Დიდი ხანია კალამი ხელში არ ამიღია, მაგრამ ეხლა კი ველარ გამიძლია, რომ ჩემი სიხარული არ გამოუცხადო ჩემს მოძმეს ქართველსა. Მერე იცით რა სიხარული? Ის სიხარული, რომელიც მართლა სასიხარულო უნდა იყოს გულ-უბრყვილო მამულის-შვილისათვის. Თურმე ნუ იტყვით ჩვენ ასეთი ფილოსოფოსები გყოლია, რომ გამოჩენილ ფილოსოფოსის ბ-ნ ა. ს. შორის და იმის შორის დიდი, უზარმაზარი, ღრმა და ამოუვსებელი ხევი ყოფილა. Ჩვენის ფილოსოფოსის ფილოსოფიური და საპოლიტიკო რწმენანი არაფერში არა ჰგავს თურმე ბ. ა. ს. ფილოსოფიურს და საპოლიტიკო რწმენასა. Მოდი და გული სიხარულით ნუ გადმოგიტრიალდება, ქართველო!

Იცით ეს ახალი და მართლა სასიხარულო ამბავი ვინ შეატყობინა გონებით გამშრალს ქვეყნიერობასა? Რაღა თქმა უნდა, იმან, ვისაც ჩვენში ახალ-ახალი, ცოცხალ-ცოცხალი ამბები ფოდრიათად აღებული აქვს, მერე როგორ? ძალიან იაფად. Იქნება გეგონოთ, რომ ამას იქმოდა ან „Ივერია", ძველის მცოხნელი, ან უტვინო „Დროება." Თქვენგან არ მიკვირს! Ახალის ქადაგება, მეცნიერების წინამძღვრობა მარტო რუსულ გაზეთის „Ობზორის" კუთვნილებაა და აბა ამ „Ობზორის" მადლობელი უნდა ვიყვნეთ, რომ დღეს ვიცით ის, რაც აქამომდე არ ვიცოდით. Თურმე ნუ იტყვით, ბატონი ნიკოლაძე ფილოსოფოსი და დიდი პოლიტიკი კაცი ყოფილა, მერე იმისთანა, რომლის ფილოსოფიური და საპოლიტიკო დედააზრნი სულ არ უდგება მეორე გამოჩენილ ფილოსოფოსის აზრებს და ის მეორე ფილოსოფოსი ვილაც ა. ს. ბძანებულა. Ეს ერთი ახალი ამბავი, გამჟღავნებული, გამოქვეყნებული თვითონ ბ-ნ ნიკოლაძისაგან „Ობზორის" 539 №-ში. Მოდით და ამას იქით ჰსთქვით, ბ. ნიკოლაძე ახალის მიმდევარი არ არისო.

Მართალია, ჩვენი მოშურნე მტერი კი იკითხავს; „ეს ბატონი ნიკოლაძე ფილოსოფოსობაში რომ აგრე გაბედვით თავსა ჰსდებსო და მერე ფილოსოფოსს ა. ს. არ ეთანხმებაო და ამბობსო: ყველამ იცისო რა დიდი ზღვარი დევსო ჩემსა და იმის ფილოსოფიურ და საპოლიტიკო რწმენათა შორისო, — რატომ არ გვაჩვენებს სად გამოუფენია ეგ რწმენანი, რომ მართლა ყველამ ვიცოდეთო."

Ისიც კი მართალია, რომ ბ-ნს ნიკოლაძეს არსად არ გამოუფენია ეგ რწმენანი და არც არავინ იცის მაგრამ თუ კი თვითონ ბ-ნი ნიკოლაძე გვეფიცება ყველამ იცისო, რატომ არ უნდა დავუჯეროთ. Თუნდ ცარიელს და ლიტონს სიტყვას ნუ დაუჯერებთ, აი მაგალითები: ერთხელ ბატონ ნიკოლაძემ დაჰსწერა, რომ ნ. ამატუნი სხვა განათლებულ ქვეყანაში დაბადებულიყოვო, ქვეყანას გადაატრიალებდაო და კაცობრიობის პროგრესის უღლის თავში პირველი კაცი იქნებოდაო. Ფილოსოფიური რწმენა არ არის, მაშ რა არის? Რასაკვირველია, იმისთანა ბრმა ფილოსოფოსი, როგორიც ა. ს. არის, ამას არ დაეთანხმებოდა და მათ შუა დედა-მიწა გაირღვევოდა და უზარმაზარი ხევი გაჩნდებოდა. Ბატონი ნიკოლაძეც ამას ამბობს 539 №-ში, სხვას არაფერს. Ან კიდევ: ჭეშმარიტი პატრიოტი თავის დღეში მსუქანი არ იქნებაო, ჩემისთანა პირ-ხმელი და გამხდარი უნდა იყოსო, დაჰსწერა ერთხელ ბ. ნიკოლაძემ თავის „საახალწლო" ქართულ წიგნში. Ფილოსოფიური რწმენა არ არის, მაშ რა არის? Აბა ამას რად დაეთანხმებოდა მეორე ფილოსოფოსი ბ-ნი ა. ს. და რაღად გიკვირთ, რომ ამ ორ ფილოსოფოსთ შუა დიდი ზღვარი ჰსდევს. Ან კიდევ: ვინც მე ბანს არ მაძლევთო და ტაშს არ მიკრამთო, ყველანი სულელები,

ლებას. რაღაც ათიოდე ფიცარია თურმე შეკრული და ვერც მზეში და ვერც ქარში ვერა მუშაობს. ქარში იმიტომ რომ ქარი დაამტვრევს და მზეში ალბათ ფიცრები დაიფრაკდება და წყალი შევა. ამას გარდა პარომი კვირაში სამს დღეს მუშაობს და ყოველს მომცდარის დღისთვის გორის უპრავა სამს თუმანს აძლევს პარომის პატრონს.

პარომით გასვლის დროს მგზავრებს ლანძღვა-გინებაც არ აკლდებათ. ამას წინეთ ერთს გლეხს თურმე გაჰქონდა ურემი, რომელზედაც ფანჯრის ჩარჩო ედო. ურმის ფასი მისცა, მაგრამ ჩარჩოსთვის დაუწყეს ახლა ერთის კაპეიკის თხოვნა. გლეხს ეს კაპეიკი არა ჰქონდა; დაეწყოთ უწყალო ლანძღვა და იმ დრომდის არ მოჰშვებოდენ, ვიდრე ერთს იქ მდგომს ეს კაპეიკი არ მიეცა გლეხის მაგიერად.

* * *

გორიდამვე გვწერენ, რომ იქ კალიის მუშაობის დროს ზოგიერთს ზედამხედველს შეგროვილი მუშა თავის ყანებში უფრო მიჰყავდათ, სადაც ხშირად ნაკლები კალია იყოო და მეზობლის ყანას კალიის ზღვაც რომ მოსდებოდა, ბევრს თავს არ იწუხებდენო.

* * *

„ტფილისის განცხადებათა" რედაქცია აცხადებს, რომ იგი აფუძნებს მოსამსახურეთა, სახლების, მასწავლებლების მოურავეებს და სხვა-და-სხვა მსურველებისათვის ბიუროს, სადაც ამათი მოჯამაგირეთ დაჭერა და ქირაობა შესაძლებელი იქნება.

* * *

გაზეთს „კავკაზს" შემდეგს სასიამოვნო ამბავსა სწერენ ბათომიდამ:

ბათომში მოვიდნენ წერა-კითხვის საზოგადოების მმართველობის წევრნი ბბ. სხვედაძე და გ. წერეთელი პირველ-დაწყებითის სკოლის გასამართავად. ღენერალ კომაროვმა სრული თანაგრძნობა გამოუცხადა ქალაქის მამულიდამ ალაგი დაეთმობინა ამ კეთილის საქმისათვის. თვითონ გუბერნატორმა ისურვა საზოგადოების წევრად ჩაწერა და მისმა მეუღლემაც, რომელიც დაჰპირდა ამ სკოლის შემოსავალ-გასავალზედ თვალ-ყურის დასაჭერად კომიტეტის დაარსებას. სკოლაში მოლლას მიწვევა სურთ. სწავლა ოთხს წელიწადს გაგრძელდება: პირველს ორს წელიწადს ასწავლიან მხოლოდ ქართულად, მესამე და მეოთხე წელს რუსულადაც. სკოლის ადმინისტრაცია წ. კ. საზოგადოების ხელში იქნება, შემოსავალ-გასავლის გამგებლობა კი გუბერნატორის მეუღლისაგან შემდგარს კომიტეტს ექნება ჩაბარებული. ამ კომიტეტის თავ-მჯდომარეს სურს ყოველს წელიწადს ამ სკოლის სასარგებლოთ ორი კონცერტი და ერთი ლოტარეია—ალეგრი გამართოს.

* * *

ქუთაისიდამ სწერენ გაზეთს „ობზორს":

28 ამ თვეს ერთის სახლის ჩარდახში ნახეს სამთელ და ნავთში გასვრილი პატრუქი; ცხადია, რომ კიდევ ცეცხლის წაკიდება ედოთ გულში.

ამავე დღესვე ჭერმაზედ პრაპორშჩიკს თ-დს სებასტი ერისთავს, ბაჟის ჩინოვნიკს ნიკო მიქელაძეს და ვარდენ გურიელს ხანჯლების ტრიალი მოუხდათ; ორი მათგანი მძიმეთ დაჭრილია.

სამართალში მიცემულმა აველიანმა თორმეტი ქალი გალახა მათრახით, უზდელობის შემჩნევა როგორ გამიბედეთო.

ოლქის სასამართლომ პასუხის გებაში მისცა მომრიგე მოსამართლე ბ. ბერიძე ზოგიერთის უწესოებისათვის.

## წერილი რედაქტორთან

ბევრი რამ თქმულა და ბევრიც უმეცადნიათ და კიდევაც მეცადინობენ, ვისიც რიგია, რომ სემინარიაში კურს-შესრულებულები მღვდლათ წავიდნენ; ამის მსურველთ თავიანთ აზრის შესასრულებლათ სხვა-და-სხვა საშუალება მოიგონეს: ა) სემინარიელებს ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში მასწავლებლობა აღუკრძალეს; ბ) გამოვიდა განკარგულება, რომელმაც სემინარიელებს მოუსპო უნივერსიტეტში და სხვა მაღალ სასწავლებელში სწავლის გაგრძელება.

ამას უნდა მიუმატოთ, ერთის მხრით, სასულიერო სემინარიის მთავრობის მეცადინეობა, რომ რაც შეიძლება ცოტა სემინარიელებმა შეასრულონ კურსი პირველ წყებაში, და ამით იმათ არა ჰქონდესთ უფლება, არც მასწავლებლობისა და არც სამოქალაქო სამსახურში შესვლისა; და, მეორეს მხრით, მახლობელი სასულიერო მთავრობის თხოვნა სასოფლო შკოლების დირექტორებთან და სამოქალაქო უწყებასთან, რომ მათ სემინარიელები არ მიიღონ სამსახურში.

მაგრამ ყველა ამ საშუალებათ მხოლოდ ქაღალდზედ ექმნებათ ძალა და იმათ გულში, ვინც ამისთანა ხრიკებს იგონებს; სემინარიელები კი მაინც ძვირათ წავლენ მღვდლათ, ვიდრე სოფლის მღვდლის მდგომარეობა ცოტა მაინც არ გაუმჯობესდება.

სემინარიის მთავრობა ფიქრობს: „პირველ წყებაში კურს-შესრულებულები არ წავლენ მღვდლათაო"; მაგრამ ეს სიცრუეა: სემინარიაში კურს შესრულებული სიხარულით წავა სოფლის მღვდლათ, თუ სოფლის მღვდლის მდგომარეობა გაუმჯობესდება, თორემ შიმშილით თავს არავინ მოიკლავს.

რათ წავალ სოფელში მღვდლათ, როდესაც ვიცი, რომ მრევლისაგან ოცი თუმანიც არ მექნება წლიური შემოსავალი, როდესაც ამ ფულს ყოველთვის ვიშოვი ქალაქის სამსახურში, თუნდა მოსამსახურეთაც დავსდგე.

შეიძლება ამაზედ მითხრას ვინმემ: „მაშ თქვენ ფულები გქონიათ სახეში და არა სარგებლობაო."

არა, ბატონო, თუ ღლიური სარჩო არ მექნება, ვერაფერს სარგებლობას ვერ მოვუტან ჩემს მრევლს. სარგებლობის მოტანა მრევლისთვის მაშინ შეეძლება სოფლის მღვდელს, როცა მას მთავრობისაგან ექნება დანიშნული ჯამაგირი და თითონ მღვდელი აღარ შეაწუხებს საწყალს მრევლს.

მართალია, მთავრობა გვზრდის თავის ხარჯზედ სემინარიაში იმ აზრით, რომ ჩვენ კურსის შესრულების შემდეგ მღვდლათ წავიდეთ, მაგრამ სასწავლებლის გარეთაც კი საჭიროა ჩვენს მდგომარეობაზედ ზრუნვა მთავრობის მხრით.

მახლობელი სასულიერო მთავრობის ვალია გააგებინოს უმაღლეს მთავრობას სოფლის მღვდლის უბედური მდგომარეობა. მაგრამ ამათ ამის ჯავრი არა აქვსთ: ოღონდ თითონ იღონ ხუთი ათასი მანეთი წლიური ჯამაგირი და თითო მიცვალებულის საწირავზედ ოთხიდამ ათამდე თუმანი, თორემ სოფლის მღვდლის მდგომარეობას რას დაეძებენ! ამ ბატონებმა კარგათ იციან, თუ რა ცოტა შემოსავალი აქვსთ სოფლის მღვდლებს, და რატომ სინდისი არ ამხილებთ მათ, როცა სემინარიელებს ესაყვედურებიან, რატომ მღვდლათ არ მიდიხართ მიყრუებულ სოფლებშიო?

თუ ერთის კაცისთვის სამყოფი არ არის ხუთი ათასი მანეთი წლიური ჯამაგირი და ამდენივე საწირავის შემოსავალი ფული, სემინარიელს თავის ცოლ-შვილით, როგორ უნდა ეყოს ოცი თუმანი წელიწადში და ისიც შაურობით აღებული.

უკანასკნელი ოცი თუმანიც რომ ჰქონდეს სოფლის მღვდელს მთავრობისაგან წელიწადში დანიშნული, ესეც

---

უტვინოები, უნიჭონი ხართო. ფილოსოფიური და საპოლიტიკო რწმენა არ არის, მაშ რა ეშმაკია. ან კიდევ: ძალიან უკვირს ბ-ნს ნიკოლაძეს (27 ივნისის ობზორი) სათეატრო ამხანაგობამ როგორ დაითხოვა იმისთანა „მნათობი" ქართულის თეატრის დასისა, როგორც ვ. აბაშიძე იყოვო. მოთამაშემ რომ იმისთანა უპატიურობა მიაყენოს მთელს საზოგადოებას, როგორიც მიაყენა ვ. აბაშიძემ, ბ. ნიკოლაძის ფილოსოფიით, არაფერია. სახარების სიტყვით, ერთს ყბაში რომ სილა შემოგკრანო, მეორეც მიუშვირეო. რასაკვირველია, სათეატრო ამხანაგობამ დიდი სულელობა გამოიჩინა, რომ საზოგადოებისათვის მეორედ აღარ შემოაკვრევინა სილა იმისთანა „მნათობს", როგორიც ვ. აბაშიძეა. მაგისთანა მნათობი თქვენს „კანდელს" თუ გამოადგება, სიხარულით დაგვითმია.

ისე როგორც უნდა ჰქონდეს კაცს დავიწყებული ზდილობა და მართებულობა, რომ იმ სკანდალის შემდეგ, რაც ვ. აბაშიძემ მოახდინა, კიდევ სარჩლობა დაუწყოს, რაც უნდა დიდის ნიჭის პატრონი იყოს ის ბ. აბაშიძე. ესეც უსათუოდ იმ ფილოსოფიურ რწმენათაგანია, რომელსაც ესე დაუშორებია ერთმანეთზედ ორი გამოჩენილი ფილოსოფოსი ბ. ნიკოლაძე და ა. ს.

ან კიდევ: 540 №-ში ბ-ნმა ნიკოლაძემ გულ-მტკივნეულობით აღიარა ერთი მართლა და ახალ-ახალი, ცოცხალ-ცოცხალი ჭეშმარიტება და გაბრუცანა „ივერიას" და წყალ-წყალა „დროებას" მაგალითად წინ დაუდვა. ბევრი უანბანო, უვიცი მწერალია ჩვენში, რატომ იმათგან ჭკუას არ ჰსწავლობთო და უთითებს სკანდარნოებზედ და სხვა იმის მსგავსს მწერლებზედ. აბა იმათ მიჰბაძეთ და ნახავთ რამდენი ხელის-მომწერნი მოგემატებიანო. ახალ-ახალი აზრი თუ გნებავთ, ეს გახლავთ. თუ კაცია ქვეყანაზედ ამისთანა ახალს ამბავს იტყოდა ვინმე ბ. ნიკოლაძის მეტი! ფილოსოფიური რწმენა არ არის, მაშ რა ჯანაბაა!..

თვითონ ბ-ნ ნიკოლაძეს დიდი ხანია დაუწყვია იმათი მიბაძვა და ამიტომაც ასე უანბანოდ, უკანონოდ ამახინჯებს რუსულ ენას, როგორც ისინი ქართულს. მაგალითებრ: „Обвинитель, недовольный рѣшеніемъ суда, подалъ на(?)Аппеляцію. (№ 540 ობზორი). ანუ: რამდენჯერმე შეუცვლელად ხმარებული напад(окъ)-ковъ და სხვა ამ გვარი, რომელთ სახელი ლეგიონია.

რადგან ბ. ნიკოლაძისაგან აღმოჩენილის მეცნიერების კანონით ხელის მომწერთა და მკითხველების გამრავლება უანბანობაზედ და უცოდინარობაზედ ყოფილა დამოკიდებული, იმედია, რომ ამას იქით ბ. ნიკოლაძეს დიდი შემოსავალი ექნება თავის გაზეთისაგან, თუ სკანდარნოვების და ბივიშვილების გზას ისე ბეჯითად დაადგება, როგორც „ივერიას" დი „დროებას" ურჩევს. ეგრე იარეთ მცხეთამდი, ჩვენო გამოჩენილო ფილოსოფოსო და არამც და არამც არც ერთი თქვენი ფილოსოფიური და საპოლიტიკო რწმენა არ დაუთმოთ მეორეს თქვენებრ გამოჩენილს ფილოსოფოსს ა. ს., თორემ თქვენგან შეყვარებული სახელი ქართველისა წაწყმედილ იქნება საუკუნოდ.

ჩვენ კი, უკაცრავოდ არ ვიყოთ, თქვენს რჩევას ჯერ ვერ მივიღებთ. აი თქვენ ხომ აპირობთ „კანდელის" გამოცემას, იქ ავარჯიშეთ ბივიშვილებისა და სკანდარნოვების უმეცრება და თუ გამოგადგებათ, ჩვენც, მეტი რა გზაა, მოგბაძავთ. გზა მშვიდობისა. ჩვენო იმედო გულისავ.

ჩიტირეკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგია; ამასთან ცოტა შემოსავალიც ექნება მრევლისაგან და იცხოვრებს როგორც იქნება.

ქალაქის მღვდლებსაც არა აქვთ ჯერ-ჯერობით დიდი ჯამაგირი, მაგრამ ამათ დიდი შემოსავალი აქვსთ მრევლისაგან და სხვა-და-სხვა სასწავლებლებიდგან, სადაც უმეტესს მათგანს ოცი, ან მეტი გაკვეთილები აქვსთ კვირეში და როცა წირვის წესი მოუვათ, დაქირავებულ მღვდლებს აწირვინებენ ეკკლესიაში თავიანთ მაგივრად.

გასაკვირველია ზოგიერთი ქალაქის მღვდლის გაუმაძღრობა ამ შემთხვევაში. ბატონო, ორი შტატის ადგილი დაუჭერიათ: ერთი ეკკლესიაში, მეორე სასწავლებელში; და საწყალს სოფლის მღვდელს კი მიყრუებულს სოფელში არც ჯამაგირი აქვს და არც თავისი მახლობელი სასულიერო მთავრობისაგან ყურის გდება.

ამას ისიც უნდა დაუმატოთ, საუბედუროთ, რომ ეხლანდელს დროში სულ უსწავლელს და მესამე კლასს შესრულებულ მღვდლებს უფრო პატივი აქვს და უფრო მიღებულნი არიან თავიანთ სასულიერო მთავრობისაგან, ვიდრე სემინარიელები, რადგან ამ უკანასკნელებს ისე ადვილად ვერ აუტანიათ თავისი მთავრობის უკანონო მოქცევა, როგორც პირველებს.

ვიმეორებ, ვიდრე ჩვენი ყოვლად სამღვდელოები არ იმეცადინებენ უმაღლესს მთავრობასთან, რომ მან ცოტა შესაფერი ჯამაგირი დაუნიშნოს სოფლის მღვდელს, იმ დრომდე ხეირიანი პირები მღვდლად არ წავლენ და სემინარიელების შემავიწროებელი საშუალებანი მათგანვე გამოგონილი და მათგავე სემინარიელების პეზღება მთავრობასთან ფუჭათ ჩაივლის.

სემინარიელი.

27 ივნისს.

# უცხოეთი

**წვრილი ამბები.** პარიჟიდამ გაზეთს „გოლოსს“ აცნობებენ იქაური გაზეთების აზრს ბერლინის კონფერენციის განაჩენის შესახებ. ამ გაზეთების აზრით, საფრანგეთი არ იკისრებს აღმოსავლეთის საქმეების გასარიგებლად არც ომის დაწყებას და არც მკაცრის საშუალების ხმარებას.

—

„რეიტერის სააგენტოს“ სიტყვით, ფილადელფიაში (ამერიკაში) მყოფს „ამერიკის შეერთებულ ირლანდიელების“ საზოგადოებას ერთი მუხლი კიდევ მიუმატებია თავის წესდებისათვის. ეს მუხლი ვალდებულს ჰყოფს საზოგადოებას რომ ყოველის ღონისძიებით ეცადოს ირლანდიის ინგლისის მონებიდამ განთავისუფლება.

—

ვენის გაზეთის „*Presse*“-ის აზრით ოსმალეთის საქმე ხელიდამ წასულია: ეხლა იმას ველარ უშველის ვერც შინაგანი ცვლილება და ვერც სახემწიფოების სურვილის დათანხმება. ავსტრიამ უნდა გამოიყენოს ეს ცვლილება თავის პოლიტიკისათვის ბალკანის კუნძულზე მკვიდრად ფეხი გაიდგასო.

—

ჩინეთი თან-და-თან საომრად ემზადება. ევროპიდამ და ამერიკიდამ ჰყიდულობს დიდძალს ზარბაზნებს [illegible] მოსდის დიდროვანის გემებით ყოველ-გვარი სამხედრო იარაღი და მოწყობილობა და აგრეთვე სამხედრო საქმის მცოდნე ევროპიელებიც, [illegible] მელთაც უნდა გასწვრთნონ ჩინელი მხედრობა.

—

რუსულს გაზეთს „გოლოსს“ ატ[illegible]ნიდამ სწერენ, პარისში მყოფობის დროს ჩვენმა მეფემ სთხოვა სამხედრო მინისტრს რომ მას დაერთო ნება რამოდენიმე **წარჩინებულ ჯარის კაცისათვის**, რომ მათ **საბერძნეთის** ჯარი გაეწვრთნათ. მინისტრს ბრევისაგან აუღია ნება-რთვა და მეფის თხოვნა აუსრულებია.

# სამასხო

ევ. მჭ—ძეს.

(პასუხად)

(გაგრძელება *)

»Имѣетъ даръ одно худое видѣть.«
Крыловъ.

ერთი მინდა ვიკითხო მეც.—**რას** იტყოდა ბატ. კრიტიკოსი, ამ ძველებური სიტყვების მაგიერ: 1, (времена года), 2, გეგმია (планъ), 3, ორხხოელი (Аморибіи), 4, საყე (мачта), 5, ილეკრო (металлы) 6, სამორინე (игорный домъ), 7, კინტრო (горизонтъ), 8, ბოლქვი (луковичныя растенія), 9, იფრინდა (курьеръ), 10, ზილი (дискантъ), 11, იკანკელი (зигзагъ), 12, თინათინი (отраженіе лучей), 13, გვერდი, სამყური, (треугольникъ), 14, სწორ-გვერდი (равносторонній треугольникъ), 15, წვივედი (равнобедренный треугольникъ), 16, კიბის-გვარი? (разносторонній треугольникъ) და სხვანი მრარავალნი.

ან როგორ დაასახელებდა ქართულად ამ რუსულ სიტყვებს: 1, кресло (სავარძელი), 2, занавѣсъ (სამუშლე), 3, равноденствіе (ბუნიაობა), 4, заливъ (უბე), 5, рудокопня (ქანი), 6, паралельный (ქეშაო), 7, пробѣлъ (ქვედნაცი), 8, слѣсарь, (ჩილინგდარი), 9, летаргія (ელოვისი ანუ კაროსი), 10, сестра милосердія (ენკრატისი) 11, изобрѣтеніе (ნარუქი), 12, рычагъ (ოწინარი), 13, траншея (პატნეზი), 14, одиночная (въ тюрьмѣ) (საკანი), 15, разносчикъ (ფერეზიკი), 16, этажъ (ქორი, ფრინველი კი არ გეგონოსთ), 17, блокада (ქოჩაბანდი), 18, муфта (ქურო), 19, флангъ (დარგი), 20, ширма (თექირი), 21, грань (თრაში), 22, дуга (ოდრიკალი), 23, абажуръ (ტრო), 24, метдоръ (ტატანი) და სხვანი მრავალნი.

მე მგონია, რომ ამ გვარი სიტყვების დავიწყება და დაკარგვა არ იყოს კარგი და სხვა ენებიდგან შემოტანა, ისეთ სახელწოდებათა, რომელთ სახელებიც ჩვენს წიგნებში და ლექსიკონებში არის,—საჭირო არ უნდა იყოს და როდესაც ამ გვარები არ მოიპოვება ჩვენში, მაშინ კი,—რაღა გაეწყობა! აგრეთვე არც: ჰა, ჰე და ჴ უნდა დაიკარგოს.—მართალია, იქნება ზოგჯერ მეც ვიყო შემცოდე და ამათ მაგიერ ვხმარობდე სიტყვებში: ვა, ვე, ვი-ს, მაგრამ მე და ევ. მჭ—ძემ რომ წერა არ ვიცოდეთ, ან ღრამატიკის კანონებს არ მივდევდეთ, რა ნება გვაქვს, რომ გამოვაკლოთ ეს ასოები ქართულს ენას და ღრამმატიკას და ან ვის მოუნიჭებია ჩვენთვის ამისი სიმართლე?..

ახლა ევ. მჭ—ძე მეტყვის: „ძველებური აღარ გვესმის, უნდა მდაბიურათ გამოიხატოს აზრიო...“

— დიახ, კარგი და პატიოსანი, მაგრამ, ჯერ შეიმუშავეთ ენა, გამოაკეთეთ, გაასუფთავეთ, გაამშვენიერეთ, სხვისა ნუ გინდათ, სადაც თქვენი მოგვპოვებათ და შემდეგ ისე ბრძანეთ.

ძველებური სიტყვები იმისთვის გეჩოთინებათ, რომ არ გისწავლიათ, არ იცით, თორემ ძველებურს თქვენთვის არა დაუშავებია-რა და ან კი, რა აგრე მძიმე სიტყვები ისინი არიან.

აი თუნდა შევადაროთ, რომელი უფრო მოსწრებული, მოკლე და ზრდილობიანი სიტყვებია: ძველებური, თუ ახლანდელი?

| ძველებური: | ახლანდელი. |
| --- | --- |
| თინათინი . . | შუქი მზის სხივისა, სარკიდან გადასული სხვა ადგილზე. |
| დასვინაღრება . | ზღვის სიღრმისდაზომანა. |
| ბაბაჯანი . . . | შუა თითსა და ცერს შუა მანძილი *). |
| ერმიანი . . . . | დაუსწრობელი განჩინება დამნაშავეზე. |
| ბუნიაობა . . . | დრო, როდესაცდღე და ღამე გასწორდება. |
| თათმანი . . . | ნაქსოვი ფერჩატკი. |
| საბუხარი, ხელ- | |
| ჯაგვი . . . . . | ტყავის ფერჩატკი. |
| ქურო . . . . . | მუფტა, |
| ალღო . . . . | ინსტინქტი. |
| სავარძელი . . . | კრესლო. |
| საბუთი . . . . | დოკუმენტი. |
| გეგმია . . . . | პლანი. |
| ჯიში, ჯილაგი, | |
| ნათესავი . . . . | რასი. |
| მატრაკვეცი . . | მოახლის მოახლე. |
| მატაროცი . . . | ქბედი. |
| იავა . . . . . . | მუდრეგი. |

და სხვანი.

მაგრამ წერა,—როგორც ზემოთ მოგახსენეთ საგანზედ არის დამოკიდებული, ან იმ პირის მუსაიფობაზედ, რომლის აზრი და ლაპარაკიც იწერება და მწერლობას, კილოც ამისივე უნდა ახლდეს.—მე ასე ვგონებ და ვფიქრობ, თორემ, მე არავის ვაძალადებ ჩემს აზრზედ დათანხმებას.—

ბატ. რეცენზენტი ბრძანებს: „ავტორი ჰყოფს ღრამმატიკას ოთხს უმთავრეს ნაწილადო.“ „წიგნად, მარცვლად, ლექსად და სიტყვად.“ რასაკვირველია მასწავლებელმა უნდა განუმარტოს „ყრმას“ *) თვითოეულის სიტყვის მნიშვნელობა, მაგრამ როგორ, ამისი კი რაღა მოგახსენო.“

მოდით და ელაპარაკეთ ამისთანა პირს!.. ვაჰო! თუ ღრამმატიკა არ იცის მასწავლებელმა სხვას რაღას ასწავლის და თუ იცის, მე რაღას დამეკითხება? . მე სქემის შემდგენელი ვარ ღრამმატიკიდგან და არა ღრამმატიკისა და არც ოსტატობას ვკისრულობ.

საიდგან დაინახა ევ. მჭ—ძემ, რომ ღრამმატიკას ოთხს უმთავრესს ნაწილათა ვყოფ?..

მე ასე გამიგონია, რომ ღრამმატიკა სამს ნაწილად გაიყოფებაო, ესე იგი: 1) ლექსთ-წარმოებად, ანუ ეტიმოლოღიათ, 2) ლექსთ-თხზულებად, ანუ სინტაკსისად; 3) მართლ-წერად, ანუ ორთოღრაფიად.—

მე კი სქემაში დავანახე, მხოლოდ, რომ: წიგნი, მარცვალი, ლექსი და სიტყვა არიან საფუძველნი, რომელზედაც აშენებულია პირველი ნაწილი ღრამმატიკისა, რადგან ერთი მეორისგან შესდგებიან, აქვთ ერთმანერთთან მტკიცე კავშირი და შეაჯგუფებენ წერა-კითხვისათვის მასალასა. რაიცა შეეხება ამ სიტყვების: (წიგნი. მარცვალი, ლექსი და სიტყვა) მნიშვნელობას, მიკვირს, რომ ამათ განსამარტებლად, მე მომმართა ბატონმა კრიტიკოსმა? დალოცვილს, გაიოზის ღრამმატიკა, თუ კი წინ ედო, გადაეშალა და წაეკითხა.—იქა ნახავდა **), ანუ წერილსა, ანუ ასოსა.

§ 3 **წიგნი** არს წერილი რაიმე მნიშვნელი ასოისა.—

§ 7 **მარცვალი** არს მარტივი, სულის კვეთითი ზმა, შედგმული ერთისა, ანუ მრავალთა **ასოთა** ძლით.“

საბა ორბელიანიც ასე გვიხსნის თავის ლექსიკონში: „მარცვალი—წერილთა ასონი.“

სხვას რას გვიხსნის •გაიოსი ენატოთ?—

§ 8 „ლექსი არს მარტივი, ანუ რთული სულის კვეთითი ხმა, შედგმული ერთისა, ანუ მრავალთა მარცვალთაგან, მნიშვნელად რაისამე ნივთისა, ანუ საქმისა.—

§ 9. სიტყვა არს ხმა მარტივი, ანუ შედგმული ლექსთა ძლით მნიშვნელად ჰაზრისა მისისა, რომელიცა უბნობს...“ თითქმის ამ გვარივე განმარტება აქვს ანტონის ღრამმატიკას §§ 156, 158, 163 და 167.—

დანაშთენს რეცენზენტის კითხვებზედ, რომ ყველა ასახსნელად შემექნეს, მაშინ მე დამჭირდებოდა, ამნაი-

*) იხილე № 138 „დროებისა“.

*) სივრცე რომ მეთქო ხომ ამ მიუხვდებოდა ევ. მჭ—ძე.

*) რა ოხუნჯი ყოფილა ევ. მჭ—ძე.

**) დაბეჭდილია 1789 წელს კრემენჩუგში.—

ეროვნული

რათვე, მთელი ღრამმატიკის გამოწვ-რა... მით უმეტეს არა ვკისრულობ ამას, რომ ევ. მჭ—ძე კრიტიკას უშ-ვრება ღრამმატიკას (რომელსა,—ეს კი არ ვიცი?) და მე, ამ უკანასკნელის ავტორობა არ მეკუთვნის.

მსეც რომ არ იყოს და თუნდა რომ კიდეც ვიკისრო პასუხის მიცემა, განა შეიძლება დაარწმუნო რამიმე ის პირი, რომელსაც ღრამმატიკის კანონები თავისებურათ ესმის და ყველა ქართულს ღრამმატიკებს უარს ჰყოფს, გარდა ჩუბინოვის ღრამმატიკისა, რომელსაც ქართული ენით რომ ვერ მოუხერხებია ღრამმატიკის შეთხზვა, ზოგი რუსულად დაუწერია და ზოგი ქართულად.

თ. რ. ერისთავი.

(დასასრული შემდეგ №-ში)

## ТФИЛИСИС САМКУРНАЛО

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფებს მიიღებენ დილის ცხრ საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს:** ექიმი გავრონსკი—ქალის ავათმყოფობისა, ლისიცევი—შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი—ქალისა და ყმაწვილების ავათმყ., ქიუხარიანცი—ხირურგიულ და თვალის ავათმყოფობ., ბაბაევი—ნერვების ავათმყ., და შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს:** ექ. მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფ., ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეისი—თვალისა, ბაზოვი—გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბახუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილის ავათმყოფ., ვერმიშევი—შინაგანის ავათმყოფობის.

**ოთხშაბათს:** გავრონსკი—ქალის ავათმყოფ., ლისიცევი და რუდკოვსკი—შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი—ქალის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის, პომერანცოვი—გულის.

**ხუთშაბათს:** ჟურავლევი—ყელის და გულის ტკივილის, როტინიანცი ქალისა და ყმაწვილის ავათმყო., ქიუხარიანცი — ვენერიულ და საშარდე ასოების ავათმყოფ., ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**პარასკევს:** გავრონსკი — ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი — ხირურგიულის, ლისიცევი—შიგნეულის, ბახუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილების, ბაზოვი—ნერვების და შიგნეულების, ასტვაცატუროვი—ვენერიულ და კანის, შტემბორსკი — ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

**შაბათს:** ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა, რეისი—თვალის ბაზოვი—გულისა და შიგნეულების და ვერმიშევი—შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი ბ ა ზ ა ე ვ ი მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დიმ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი).

დოქტორი ჟ უ რ ა ვ ლ ე ვ ი მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდინ სამკურნალოშივე.

კბილის ექიმი ო ბ რ ე ს ტ ი ავათმყოფებს, ვისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპ., ზარათოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდინ სამკურნალოში არის ბებია ავათმყოფი ქალებისათვის.

---

# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ვართანოვის წიგნის მაღაზიაში

# ა ლ ე ქ ს ი

ზღაპარი აკაკისა

ფასი თითო წიგნისა 20 კ.

(6—5)

---

## პატენტიანი უჩოტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეთები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.**

(100—16)

---

**პარუსინა,** ბუმაზეია, ტრიკო, დრაპი, ხავერდი მებელისა და ფაეტონებისათვის, უნაგირები, ფოჩტის ქაღალდი და სხვ. 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში.**

**მურაბა** გემრიელი, კანფეტები, ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში.**

**კარბოლის** პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—**ინგლისის მაღაზიაში.**

(40—13)

---

სამზღვარ-გარეთის ყოველ-გვარსავაჭრო სახლებთან პირადად ნაცნობობამ და პირდაპირის კავშირის ქონებამ, შეგვამლებინა დავეწყო ქ. ქუთაისში ვაჭრობა

ს ა კ უ თ რ ი ვ

# სამზღვარ გარეთელ მოდის სა-

---

# ქონლისა

*NOUVEAUTÉS PARISIENNES*-ის

ფ ი რ მ ი თ

ვაცნობებთ რა ამას აქაურს პატივცემულს საზოგადოებას, ვიმედოვნებთ, რომ ის არ დაგვტოვებს უყურადღებოთ და ღირს გვყოფს მოგვმართოს საჭიროებისა-მებრ.

ჩვენის მაშუალობით შეიძლება სამზღვარ გარეთიდამ ყოველ-გვარ მაშინების, ავეჯეულების, ფორტეპიანოთა და სხვ. ნივთების დაბარება.

ჩვენი მაღაზია არის გიმნაზიის და სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლაძე შვილებითურთ.

---

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოიცემა გასასყიდად

ახალი წიგნი

ს ა მ წ ე რ ლ ო

# თაიგული

გამოცემული ილია ჭყონიასაგან.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

**1.** ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა **II** უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა. **III** ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა. **IV** მ... სადმი (ლექსი) გ—სა. **V.** ფერი ფერს—მადლი ღმერთს სამ მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან. **VI** ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფ. ერისთვისა. **VII** ხასიათის გავლენა, სამუელ სმაილსისა **VIII** უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. ღ—სა. **IX** ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში. **X** მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის და აზნაუროვის მაღაზიაში გოლოვინის პროსპექტზე.

ქუთაისში პ. ფ. გერარდის წიგნის მაღაზიაში.

ფასი თითო წიგნისა ათი შაურის გაგზავნით სხვა ქალაქებში სამი აბაზი.

---

## ჩ ა ი! ჩ ა ი! ჩ ა ი!

როგორც იქნა ბოლოს მოვიდა ინგლისის მაღაზიაში დიდ-მალი ჩაი პირდა-პირ პლანტატორებისაგან და ისყიდება: 1 მან. 10 კაპ., 1 მან. 20 კაპ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80 კ. და საუკეთესო ჩაი 2 მან. გირვანქა უქაღალდოთ, ე. ი. 25% უფრო იაფი და უკეთესი, ვიდრე სხვაგან სადმე.

სად არის ინგლისის მაღაზია?—არწრუნის ქარვასლაში.

(20—16)

---

სოფელში და მოგზაურობისთვის

დასაკეცი კროვატები, კრესლო-კროვატები, სკამები, წყლის საწმენდი მაშინები, დანები, თეფშები, ჩემოდნები, ჩაი, ბისკვიტები, კანფეთები, ციტრატ-მაგნეზია და თევზის საჭერი ჯოხები ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში**—3 მანეთიდამ 8 მანეთამდინ.

ნამდვილი ინგლისის თოფები და რევოლვერები ისყიდება ინგლისის მაღაზიაში 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე.

---

## წამოსასხმელი! წამოსასხმელი! წამოსასხმელი!!

ინგლისის მაღაზიაში 3 მანეთად 25 კაპეიკად!

წინდები და ჩულქები დუჟინი 2 მანეთიდამ!

(30—17)

---

ახლანდელ დიდს

# გამოფენის

დროს,

ოლეოგრაფიული სურათები იყიდება 20% დაკლებით, მაკ-ინტოშები (მოსახურავები) 6 მანეთიდამ 20-მდე; უჩოთქები მოსაფხეკებითურთ თითო 75 კ.; შეკვეთილია შეფილდში განსაკუთრებით ინგლისურ მაღაზიისთვის საუკეთესო სამართებლები, რწყილი ბუდეებით ღირს 4 მან.; შეფილდის დანები ჩანგლებიანათ დუჟინი 2 მ. 75 კაპეიკიდამ 20-მანეთამდე. ჩაინიკები ბრიტანიის მეტალისაგან 30 კაპეიკიდამ 3 მანეთამდე; ციტრატ-მაგნეზია, ოსმალოს შარბათი და სამწყურალო კვერების ბანქა 70 კ.; საუკეთესო პორტ-ვეინი და ხერესი 1 მ. 40 კ. ბოთლი, და შამპანიის ღვინო ბოთლი 3 მან. და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.**

(40—28)

---

## შ ე ნ ი შ ნ ვ ა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო **ინგლისის მაღაზიაში** ეს წამალი ახლა 2 მანეთად ღირს.

(100—13)

# კანტორა

## ოდესსის ვაჭრის

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)

ჰყიდულობს და ჰყიდის, კომმისიით, ყოველ გვარ საქონელს.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებელად.

წარმომადგენელია რუსის და სამზღვარ გარეთის ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სავაჭრო სახლებისა.

აქვე ნარდათ ჰყიდის და ჰყიდულობს, გრეთვე კომისიის ფქვილს, საწვრილო და კოლონიალურ საქონელს.

(30—19)

Дозволено цензурою. Тифлисъ 2 Іюля 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი